№ 210 11 ღვინობისთვე, ხუთშაბათი 1866—1879 11 ღვინობისთვე, ხუთშაბათი № 210

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდ-ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**სამი** მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სიმლა, 8 ოქტომბერს. Иакуб-ხანი გადადგა Авганის ტახტიდან. Ინგლისის კომისიონერი, რომელიც ნაგა-ბილზში, Ассамში, ცხოვრებდა, ნაგასების თემის ხალხმა მოჰკლა. Ინგლისის მმართველობამ მოახდინა განკარგულება, რომ Хандаараса და Кабулს შუა დაუყოვნებლივ გაიყვანეს რკინის გზა. Ამბავი მოვიდა, რომ Кабулში, ინგლისელების საწინააღმდეგოდ, მიდის სამი ცხენოსანი და ექვსი ქვეითა Полки Авганისაო.

სტამბოლი, 7 ოქტომბერს. Саид-ფაშა დანიშნულია პირველ მინისტრად და გარეშე საქმეთა მინისტრად. Махмуд-Надим-ფაშა სახელმწიფო საქმის თავსმჯდომარედ; Савфет ფაშას მინდობილი აქვს ზედამზედველობა ყველა გამგეობის ნაწილებისა.

სტამბოლი, 7 ოქტომბერს. Сამინისტრო ესე შეიცვალა: Саид-ფაშა პირველ მინისტრად არის დანიშნული, Аарифი—სახელმწიფო რჩევის თავსმჯდომარედ, Сავასი—გარეშე საქმეთა, Ჯავდეთ—იუსტიციისა და საზოგადო მუშაობისა, Савфети—რეფორმების უმაღლეს ზედამხედველად.

პეტერბურღი, 8 ოქტომბერს. Გაზეთი „Новое Время“ გვაცნობებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაწყვეტილებით, ებრაელები გარდასახლებული იქნებიან Донის მიწიდამაო.

პეტერბურღის ბირა, 8 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94	—25
მეორე — — —	— 93	—25
მესამესი — —	— 93	—50
მეოთხესი — —	— 93	—37
Აღმოსავლეთის პირ.	— 90	—87
Აღმოსავლეთის მეორე	— 90	—37
Აღმოსავლეთის, მესამე	— 90	—50
Ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	—72

Გირაოს ფურცელი — „— „

Შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 224	—75
მეორე სესხის —	— 220	— „

1 მანეთი ღირს:

Лონდონი — —	25	—59	პენსი
Ბამბურღი — —	129	— „	ცენტი
Პარიჟი — — —	275	— „	სანტიმი
Ვენა — — —	218	— „	პფენიგი
Კავკასიის კერასინი —	—	—	

საქართველო

სამღვდელოების კრება.

Გუშინწინ გაათავა სამღვდელოებამ განხილვა ყველა იმ საგნებისა, რომლის განხილვა და გარდაწყვეტა მიანდო იმას მაღალ-ყოვლად-სამღვდელომ საქართველოს ეგზარხოსმა, და დახურა კიდეც თავის სხდომები.

ჩვენს გაზეთში თითოეულად იყო მოხსენებული—თუ რაზედ ჰქონდა კრე-

ფელტონი

ახალციხური ფელტონი

(Დასასრული*)

საწერეთოთგან ზანავს გავიარეთ. Აქ ხევში საჯერის არილი გამოჩნდა ორი მიტყუებული ქვები ერთი საჟენის სიმაღლე და ზედ მობრტყე წითელი ქვა იდვა ჯვარის ჩასარჭობი. ხევს შეეუყეთ, წყალზედ ხიდი დაგეხვდა, 16 ფეხის სიგრძე თლილი ქვა ეკკლესიითგან ჩამოტანილი. Იქითგან ეკკლესიაც აღმოჩნდა, შევიარეთ მოგვერდობო ჭალა და ავეალით ეკკლესიაზედ; მრთელი აქვს ცა აკვნის სახისა; მაგრამ საბური და კედლის ქვები საკმაოდ შემოუცარცვიათ; ჩრდილოდ წითელ ქვაზედ ამგებლები ეხატნენ და მხედრული ასოები სჩანდა: **ლ. დ. ე.**; მაგრამ სიტყვა არ იკროდა, სჩანს დარღვეული ეს ეკკლესია ხელახლავ შეუკეთებიათ, ამიტომ არამტარამად იყო გაწყობილი კედლის ქვები. საკმაო სენაკები სჩანდა ამ ეკკლესიის გარემოს ქვით-კირული დაქცეული. ვჰკითხე მუნებურთა ამ ეკკლესიის სახელი და მითხრეს მონასტერი ჰქვიანო.

Ამ ზანავის ციხე-გოდოლიც შვენიერია, Ალთუნ-Ყალისგან უფრო შეუვალ ციციბო კლდეზედ დგას ისევ მთლივად; აქეთგან გაუყვეთ, მივადეგით ერთ ეწრიან იწრო ხევსა, სადაც კაპრები და ნაძვებიც დევ-გმირებივით ამართულიყვნენ თავ-მომწონედ, ქარისაგან ჰაერს ექანებოდნენ ზლოქინითა.

Ოტა რომ ავიარეთ, გამოჩნდა შვენიერი ეკკლესია მისი საფერის ჩუქურთმიანი ფირუზის ფერად და მოწითლოდ მომინული სამრეკლოითა; ერთ მცირე მინდორზედ დგას, გარშემო სრულ ზოგი ნახევარ ნაქცევი შენობაები არტყია და უმრავლესი დარღვეულ-გაოხრებულია. მნახველს სწორედ აეტირება, ამისთანა მეტად ჩინებული შენობაც არ დაუზოგია მტრის ხელს, არა თუ ოსმალოს მფლობელობისა, არაშედ ჩვენს დროს გუშინსწინ, გუშინ და დღეს, ბევრგან ქვით, ლოდებით მიწები უყრეევინებიათ სამრეკლოსაგან, კედელზედ მიდგმული შვენიერი ქვის სვეტები რკინის კეტებით გარდმოუყრიათ; კარის ამყოლის ქვეები, ზღურბლები და ქუდები სრულ ჩამოუყრიათ და წაულიათ; რამდენიმე წლის წინად ყოფილა სამრეკლოს კარზედ ნაწერი ქვები გაუჩინარებიათ, აღარც კანკელის ქვები დაუტოვებიათ და აღარც ეგვეტერისა; ერთ კანკელის დანტვრეულ ქვაზედ ეწერა: „Ш. Мохъас ძე“ და სხვა აღარა იყო-რა.

Ეს არის საკვირველი, რომ ჩვენი წინაპარები ერთ-მეორის უკეთესებას ცდილან: ამ ეკკლესიის გეგმი (პლანი) სჯო-

*) „Дроэба“, № 208.

ბას მოლაპარაკება და რა და როგორ გადაწყვიტა. ამ საგნებში, უეჭველია, ყველაზე უფრო ყურადღების ღირსია მღვდლების ქალებისათვის ეპარხიალური სასწავლებლის გახსნა. მინც იცის—თუ რა ძლიერია ჩვენს ხალხში სწავლის სურვილი და როგორ ცოტა საშუალება და ღონის-ძიება გვაქვს ჩვენ ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად, ის, რასაკვირველია, კარგათ დააფასებს ამ ზემოხსენებულ სასწავლებლის სარგებლობას და იმის დაარსებისათვის ღირსეულ მადლობას შესწირავს საქართველოს ახალ ეგზარხოსს.

თავის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამღვდელოების კრების გარდაწყვეტილებას, რომ იზრუნონ და საშუალება აღმოაჩინონ ქართული საეკლესიო ბალობის განახლებისა და ნოტების შედგენისათვის.

სემინარიის გამგეობის ახალ წევრებში არცერთი ძველი წევრი არ ურევია; ყველა ახლად-არჩერლები ცნობილი არან როგორც პატიოსანი, დამოუკიდებული ხასიათის პირნი და ისეთნი, რომელნიც თუ რამე გაუვიდათ, არაფერს არ დაზოგვენ ჩვენი დავარდნილი სასულიერო სემინარიის აღსადგენელად და გასაუმჯობესებლად. სამღვდელოებას დიდი იმედი აქვს ამ ბამგეობის ახალი წევრებისა და, რამდენადაც ჩვენ ამათ ვიცნობთ, ეს იმედი მოტყუებული არ იქნება...

მაგრამ ყველა ამ საგნებზე უფრო მომეტებული ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია კრების გარდაწყვეტილება, რომ მაღალ-ყოვლად-სამღვდელოს მიართვან თხოვნა შესახებ ქართულის ენის გაძლიერებისა თფ სასულიერო სემინარიაში. ეს გარდაწყვეტილება თითქმის ერთ-ხმა და საზოგადო გარდაწყვეტილება იყო მთელის კრებისა; გარდა სამ-ოთხი დეპუტატისა, რომელთ რიცხვში, სამწუხაროთ, მ. დ. ღამბაშიძეც ურევია, ყველამ დაუყოვნებლივ მოაწერეს ხელი ამ თხოვნას, წარუდგინეს ის ეგზარხოსთან და სთხოვეს იმას ამ მხრით შეცვლა სემინარიის პროგრამმისა.

თვითონ მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოებამ გამოაცხადა კრებაში, რომ იმის სურვილიც ის არის, რომ ქართულ ენისა, საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და მეტყველების შესწავლას უფრო ფართო გზა და მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული თფ. სასულიერო სემინარიაში. მთელი კრების საზოგადო აზრიც კი ის იყო, რომ ბერძნულ და ლათინურ ენების შესწავლას ჩვენი შვილებისათვის, იმათ მომავალ მოქმედებაში, მღვდელ-მოქმედებაში და ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო; ჩვენთვის, საქართველოს მღვდლებისათვის, ყველაზე უფრო საჭირო საქართველოს ხალხის ისტორიისა, სამღვდო და საერო მეტყველებისა, წმინდანების ცხოვრების გაცნობა და შესწავლა არის საჭირო და არა ბერძნული და ლათინური ენები, ფილოსოფია, რაღაც გუმილეტიკა და სხვა ამ გვარი საგნებიო.

ამ გვარი ნათელი აზრის გამოთქმა ჩვენი სამღვდელოების ძხრით ძალიან სასიამოვნოდ იყო ჩვენთვის. სასიამოვნო იყო გაგონება უბრალო სოფლის მღვდლისაგან ისეთის აზრებისა, რომელიც ჩვენ დაწინაურებულ პედაგოგებსაც ვერ შეუთვისებია აქნობამდინ და რომლების სისრულეში მოყვანა ამ ჟამად ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებაა შეადგენს. ჩვენი სურვილი ის არის, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ კარგ გზას არ გარდაცილებულიყვეს და ენერგიულად ცდილიყვეს, რომ თავის სემინარიის საქმე როგორმე რიგიანად წაეყვანოს.

ს. მ.

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. ვეჯინი, 2 ოქტომბერს. ბუშინ, 1-ს ოქტომბერს, სიღნაღის უეზდის ს. ვეჯინში იკურთხა ახლად დაარსებული სახალხო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი დაარსდა დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკის დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძისა და თ. მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვის თაოსნობით; მათთანავე დიდათ იმეცადინა ამა სოფლის მამასახლისმა, უ. ბოდერძოემა, რომელმაც ამ საქმეში სამაგალითო თავ-განწირულება გამოიჩინა.

სასწავლებლის სახლი მომზადდა სულ ორი თვის განმავალობაში, მოუვიდათ მასწავლებლათ უ. ნ. ნათიძე, სემინარიის სტუდენტი და შეუდგნენ დანარჩენ სამზადისს.

შკოლის კურთხევის დროს დაესწრნენ: უ.უ. ფურცელაძე, თ.თ. ანდრონიკოვები და სოფლის ხალხი. კურთხევის შემდეგ, მასწავლებელს ნათიძეს თავის ამხანაგებით (ს. ბოდბიხევის და ბურჯაანის მასწავლებელნი) ჰქონდა ლაპარაკი გლეხებთან შკოლის შესახებ, რადგან შკოლას, როგორც ახლად დაარსებულ საზოგადო საქმეს, უკმაყოფილება განუცხადა (რამდენთამე საპატიო პირთაგან შთაგონებით) გლეხთა მიერ. სამწუხაროა, რომ ამისთანა პირთა შორის უპირველესი ალაგი უკავია ადგილობრივ მღვდლებს—ბლაღოჩინს: „აქ რა შკოლა და უჩიტელები გვინდაო„! ბაიძახიან ეს კურთხეულები, რაკი ორიოდე სტაქნით ეზიარებიან. მარამ ამით შკოლას ფიქრი არა აქვს, იგი უფრო დამკვიდრდება, უფრო შეიძენს გლეხების თანაგრძნობას, პირველი უკმაყოფილების შემდეგ, სამარცხვინოდ ხსენებულ მამათა, რომელთაც აღუღიათ ეჭართადმი ბიბაძველობა და უკუ უჯდიათ წმიდა მიზანი თავის თანამდებობისა.

მკურთხა ს. ვეჯინის შკოლა და ყველამ, მსურველთა გლეხ-კაცობის განათლებისა, მათის გონებითი განვითარებისა,—ვისურვოთ წრფელის გულით მისი წარმატება და აყვავება სასარგებლოთ დამფუძნებელთა..

ბია საფარისაც და ზარზმის ეკკლესიების გეგმებსაც; თვითან ოთხკუთხია ჩვეულებრივად, მაგრამ კუთხეები შეჭრილი აქვს, რომლით რვა კუთხად სჩანს; აგრეთვე ეკკლესიის სვეტებიც დამყნობილია რვა კუთხედად; აქეთ-იქით დასავლისაკენ გარდამბულ კამარებზედ აწერია უცხო ქარაგმით წითლად და შავად ქორის ქვემოდ, სამ მხრივ:

„მოვედი კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათა.“

ჩრდილოს კამარაზედ წერებულა, ნახევარი წაშლილია და ნახევარი კიდევ არის:

„წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და მსახურთა მისთა.“

ჩრდილოდ დახატული ყოფილან ქაენი, იუდა, სიმონ, მოგვი, ნიკოლა, ანრიოხი, დეოსკურო, ევტიქი, ფოკიო და მისთანა მწვალებელნი, ზოგი ეტყობა და ზოგი წაშლილა; რადგან ხე ამოსულა ეკკლესიაზედ, გაჭეღინთულა წვეთით და მოსძრომია ბევრგან ნახატები. სამხრით კარის ზემოდ ხატიანი სრულ ათაბეგები და დიდებულნი მესხეთისა, წინ აღსავლის კარის ზემოდ სამხრით შვენიერი გარდმოხსნა სჩანს, რომ ღვითსმშობელი მომთხვევია მაცხოვრისა სახეზედ. ათაბეგების და დიდებულთ უკან სამღვდელოება ყოფილა და მათ მერმე დიაკვნები საეკკლესიო კვართებითა; ზოგიერთი კიდევ ეტყობა. ასრეევე ნახატი ყოფილა სამრეკლოს ქვეშ საუცხო ეგვტერი, მაგრამ ცეცხლით სრულ აოლანძიათ მთელი კედლები და ცა.

ჩრდილოს სვეტის თავს კამარის ქვემოდ აწერია თეთრად:

„შეწევნისათვის ღვთისათვის და ბიორგი ჰულელისათვის სრულ იქმნა ეკკლესია ესე...“

და სხვა მოუნტვრევიათ ურიოთი ახალად სვეტის ქიმები და ნაწერიც წამხდარა. არ ვიცი რაღა გვეთქმის ამისთანა სამწუხარო მოვლინებებზედ. ჩვენ ჩვენის თვალით ვხედავთ ჩვენს ნაკლებულებასა, დაქცევასა, გაოხრებასა და ყურწაგდებით მოგვიმღერებია ყელი, თითქოს ამ ქვეყნისანი არ ვიყოთ, უცხო ცხრა მთის იქითურნი ვიყვნეთ!.. რაღაც უთავურად ვშფოთოფთ ყველაფერზედ, ვირევით, ვმოძრაობთ, ხან ერთ საქმეს ხელს ვკიდებთ, ხან მეორეს და ვერც ერთი კი რიგიან თავს ვერ გაგვიტანია!

ამ შემთხვევაში სწორედ ჩვენი სამღვდელოებაა მოვალე! ნეტა მითხრათ რას მიკეთებენ ამდენი მღვდელ-მონაზონები და მონაზონ-ბერნი? ბერეთის, ქართლის და კახეთის მონასტრებში შენწყვდეულნი ზიან, ტყუვილ-უბრალოდ პურსა სჭამენ საზოგადოების ჭირისოფლით მოყვანილ-ნაცოდვარსა და რა სინიდისით იმშვენებენ? როცა იმათ-

ამასთან მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს გულითადი მადლობა განვუცხადოთ უ. დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძეს, თ. მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვს და უ. ბოდერძოვს (მამასახლისს) მათის ამა შკოლის დაარსებისთვის ღვაწლისა და ცდისათვის. ვსთხოვთ ამა პატიოსანთა პირთა არ მოაკლონ შემდეგ დღეისა ხსენებულ შკოლას თვისი გულ-შემატკივრობა; ესთხოვთ იცოდნენ მათ, რომ დღეის შემდეგია საქმე, სიძნელე წინ არის და მაშასადამე მათი თავი შემდეგშიაც უფრო დასჭირდება შკოლას.

ერთი იქ მყოფთაგანი.

ჟუთაისის „ურთიერთ-შორის ნდობის საზოგადოება“.

ამას წინათ რამოდენიმე პირთ შეუდგენიათ აქ „ურთიერთ-შორის ნდობის საზოგადოების“ წესდება და წარუდგენიათ ფინანსის მინისტრთან დასამტკიცებლად.

ამ წესდებაზე მოუწერიათ ხელი უმეტეს ნაწილს ფრანგებს და ურიებს ჩვენი ქალაქის რჩევის ხმოვანთა.

წესდება განუხილავს მინისტრს, დიდი ცვლილებები მოუხდენია და გამოუგზავნია საზოგადოებისთვის წინადადებით, რომ, თუ საზოგადოება ამ ცვლილებით ისურვებს წესდების დამტკიცებას,—მაშინ შესაძლებელია საზოგადოების დამტკიცებაო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაო.

დღეს საზოგადოებამ განიხილა ეს წესდება.

წესდება, როგორც ამბობენ, საზოგადოთ სუსტიაო და იმ საგრძნობელ ცვლილებაებს უფრო დაუსუტებია. მაგ. სხვათა ცვლილებათა შორის არიან შემდეგნი ცვლილებები: პირველი-—წესდებაში იყო: ვკლადის (სარგებლით შესანახავად ფულის) შეტანა შეუძლია, როგორც საზოგადოების წევრს, ეგრეთვე კერძო პირებსო.“ მინისტრს ეს უფლება მხოლოდ საზოგადოების წევრებისთვის მიუნიჭებია. მეორე: წლიური დივიდენდი, წესდების ძალით უნდა ყოფილიყო საზოგადოების ყველა წევრების სასარგებლოთ. მინისტრს კი მარტო იმისთანა წევრებისთვის მიუნიჭებია' რომლებიც სესხს იღებენ.

საზოგადოებამ გადაწყვიტა: წესდება მოხსენებული ცვლილებაებით წარედგინოს მინისტრს და ითხოვონ, თუ შესაძლებელია, კერძო პირებსაც მიეცეს უფლება ვკლადის შემოტანისა და თუ არ შეიძლება, ამ ცვლილებებიო დაგვიმტკიცოსო.

აქამდის მთელი ბაასი და გარდაწყვეტილება რუსულ ენაზედ იყო. ამ დროს წამოდგა აბრამ ქლიგულაშვილი და სთქვა:—რა ამბაავია, რა დაგემართათ, რომ სულ რუსულათ ლაპარაკობთ! ქართულათ ილაპარაკეთ და ჩვენ შეიძლება თქვენზედ უკეთესი აზრები შემოვიტანოთ.

უფ. თავმჯდომარემ ლუკა ასათიანმა გადაუთარგმნა სუყოველისფერი, რაც კი რუსულათ იყო ნათქვამი.

ურიებმა და ზოგიერთ ფრანგებმა, როგორც კი გაიგონეს, რომ მარტო წევრებს აქვთ მინიჭებული ვკლადის შეტანის ნებაო, წამოიძახეს: „აი ეს კი კარგია“. მაშინვე ის გამოიხატეს აზრში, რომ, რადგანაც კერძო პირებს არ ექნებათ ვკლადის შემოტანის წესი, ჩვენ გავმდიდრდებითო.

ლუკა ასათიანმა სთქვა, რომ დამფუძნებელთ რიცხვი ძლიერ ცოტაა, ამისათვის საჭირო არის კიდევ მოუმატოთ რამოდენიმე პირნიო.

ბუსტავ მალეევსკის აზრით, ამ პირობის მისაღებათ კომისიის დანიშნვაა საჭირო: ამოვირჩიოთ რამოდენიმე პირნი და მივანდოთ სანდო და საიმედო პირების მიღებაო.

კ. ხარაზოვი ამბობს: დიახ, კომისია საჭიროა, თორემ ვინ იცის რამდენი მაწანწალები ჩაეწერებიან! აბა უფ. თავმჯდომარე, შეადგინეთ კომმისიის წევრთა სია. მე მოგეხსენებთ.. (ხარაზოვი უკარნახებს და თავმჯდომარე სწერს)-სტეფანე აკოფოვი, დანიელ ხანანაშვილი, აბრამ ქლიგულაშვილი, ბლახუა ქემულარია, ყაბო...

მოისმის სტ. აკოფოვის ხმა: კოსტა ხარაზოვო, შენი თავი არ დაგავიწყდეს...

კ. ხარაზოვი (განაგრძობს): ბუსტავ მალეევსკი, მარდახა...

მოისმის ხმა სტ. აკოფოვისა: კოსტა, რაც შეიძლებოდეს ვაჭრები დანიშნე, ვაჭრები: და შენი თავიც არ დაგავიწყდეს...

ბუგუშვილი (წერიმალის ვაჭარი). აი თუ გინდა, მეც ჩამწერეთ...

კ. ხარაზოვი (განაგრძობს): პ. თუმანოვი...

ლუკა ალალიანი: სულ ფრანგები და ურიები როგორ იქნება, ეხლა სხვებიც დანიშნეთ, მაგ. ნ. ლოლაბერიძე, ლუკა ასათიანი...

ურიებს ცოტათი არ იამათ ეს სიტყვები.

გან ჩვენი დიდი შემწეობა გვინდა, სასულიერო სასწავლებლების გახსნით, ხუცურის წარსამატებლად, ნაირ-ნაირი სასარგებლო ხელოსნობაების შემოღებით, ბეჭდვისა, სასნეულოებისა და მისთანათა, გამოვიდნენ, მოეფინნენ ამ საუცხო მონასტრებში; როგორც ფარიას მოთავობს მ. წერეთელი, ისე იმათაც მოიდგან მტკიცედ ფეხი ამ გვარ მონასტრებში, არა ერთ ადგილას, არამედ მრავალგან; მისცენ ურთიერთს მწეობა, თან-და-თან მოისყიდონ საბალჩე, სავენახე, საყანე-ჭალე და ასრე წარმატებით ცოტა ხანში ყოველგან დაწინაურდებიან! სულ არაფერი რომ არ შეიძლონ, მაინც შეაკეთებენ ეკკლესიაეგვტერ - მონასტრებსა, საზოგადოებას კეთილ მაგალითს აჩვენებენ, და დაუახლოვდებიან ჩვენგან გარ გასულ გაგარეულებულ ძმებსა და ნელ-ნელა შეიძინებენ,—ეგონენ ამისგან უკეთესი საშბვალი აღარა გვაქვს მათი თანამგრძნობელობის დასამსახურებლად!

მეორე დღეს ფოცხოვისკენ გავიარეთ. წყისეს უკან ნასაზღვრევზედ არის ერთი მაჰმადიანების სოფელი სახელად ერიმი თუ ირემი. ამ სოფელში მცირე ეკკლეიია ყოფილა, რამდენიმე წლის წინად ამ ეკკლესიის ქვეებით ოსმალოებს კარდონი (ფოშტა) აუგიათ; კართან დაყოლილ ქვაზედ ასე აწერია:

„ქ. წმიდაო ეკკლესიაო შეუწყალე აქ შეფარსანის (?) სულსა, აღჩურჩნილი დაფუძვნილი ეყვეს ლასახარის ძესა და განძსა“. ე. ი. დახაელათებული დაურღვევია და ხელ-ახლავ აუგია ლასახარის ძეს თავისი წარსაგებითა ეს ეკკლესია.

ციხეც არის სოფლის ბოლოს აღმოსავლეთით გალავან მორღვეული აქა-იქ, წინ მაღლა კლდეში სკეები შეეწყოთ, რომ გაქცეული ფუტკარი ხშირად ამ კლდეში იბუდებსო. ამ სოფლითგან სჩანდა შუარწყალი, ლამიანი, ბიორგი წმიდა, ფაფალი, ფეტუმანი, სტეფანწმიდა, ღვიმე და სხვაც სოფლები ფოცხოვისა.

იქითგან ხვანას გამოუარეთ. მეტად ქვიანი სოფელია. ადრე ას მოსახლემდის ყოფილან, ორი ნაეკკლესიები არის სოფლის გარეგრეგზედ და ახლა 15-ოდე მოსახლე არის. მერმე შემოუდეგით ტყის გზას და ავედით ბუხმარეთის ეკკლესიაზედ, რომელიც მდებარებს ეწერში ხვანას-მარელს და წყირის შუა პატარა ტყის გორაზედ. ეკკლესია აკვნის სახედ ნაგებია; გუმბათი ახდია, არღარა აქვს, გარე კედლის ქვებიც შემოუკლიათ და მხოლოდ შინაგანი კედლის ქვები შერჩენია სრულ დათლილი. შიდ რამდენიმე ხე ჭრელა იდგა; მაჰმადიანთ მლოცველებს ამ ხეების ტოტებზედ იმდენი კაბის ნაჭრები დაეკიდათ, რომ დათვლა გასჭირდებოდა, შორითგან შემხედველთათვის ათას ფერად ჩნდება, აგრეთვე დაუკიდიან საქონელის დასაბმელი გრკლეები კამეჩისა, ფურისა, ხბოისა და სხვაც. თურმე ძროხა თუ კამეჩი ხბოზაქს, შეიძულამს, ქალი ქმარსა, შვილსა ან თუ რაე მოაკლდებათ, სრულ აქ მოჰმართვენ საეედრებლად; ეკკლესიას საკმელს დაკმევენ, სანთელს აუნთობენ, ყურბანს დაჰკლვენ და ასრე უსრულდებათო თავიანთ ვედრება-სათხოვარიო..

ეს და ამისთანები ადგილობრივ მცხოვრებთა რწმენა რას მოასწავებს ნეტავი?.. ამას, რომ თუმც სჯული დაუტოვებიათ, გაჭირვებით დაგვშორებიან, ზნე-ცხოვრებითა გაგარეებულან; მაგრამ სარწმუნოების ნაპერწკალი ისევ ბჟეტამს ღრმა ნაცარში მიმარხულ-მიფლულ ღველფითგან...

ვინმე მესხი.

ახალციხე, 3 ივნისს.

სტეფანე აკოფოვი (წამოდგება). კოსტანტინე ხარაზოვს რატომ არ ნიშნავთ! მაგი რა სხვაზე ნაკლებია?

ამნაირად ხარაზოვის სიტყვით ამოირჩიეს კომისიაში თერთმეტი კაცი, უმეტესობა მათგანი არიან: ყობო, მარდახ, ელო, დანიელ და სხვა, მერმე ფრაგები და დანარჩენი მგონი მარტოთმარტო სამი.

ამ კომისიას მიანდვეს საიმედო პირების მიღება საზოგადოებაში. ძლიერ სასურველი კი არის გავიგოთ, ნეტა ვის ეძახიან საიმედო პირებს?

ჩემის აზრით, ამ საზოგადოებისთვის ყველანი იმისთანა საიმედონი არიან, როგორც ხარაზოვი, დუკლიაკი, აკოფოვი და სხვები. თუ იტყვიან, რომ მათ დიდი შეძლება აქვთო, ეს სულ უსაფუძლო იქნება: დღეს აქვს, მაგრამ ხვალ შეიძლება პატიოსან გაკოტრებულათ უწოდა თავის-თავს, ან და მაგ. რომ გვგონია ის გადმოჭიმული სახლები და სხვა-და-სხვა შენობაები, რომელსაც ისინი თავისად უძჩიან, იქნება სხვაზედ ჰქონდესთ გადაცემული... რატომ არ შეიძლება იფიქროს ეს კაცმა მათზე, როდესაც ისინი სხვებზედ კი ფიქრობენ ამას?..

იმათი აზრი, როგორც სჩანს, ის არის, რომ მარტო თვითონ ჩაიგდონ ეს საზოგადოება ხელში და ისე ატრიალონ, როგორც მათ უნდათ. თავის მზგავს წევრებს ირჩევენ თავიანთ კერძო ინტერესებისთვის და არა საზოგადოებისთვის.

უმჯობესი იქნება ამ საქმეზე მარტო ხარაზოვის და მისი მზგავსი პირების გარდაწყვეტილებას არ ემორჩილებოდეს საზოგადოება. უმჯობესია, თვითონ დაფიქრდეს თავის საქმეზე. ნათქვამია: „ათჯერ გაზომე, ერთხელ გადაჭერიო“. მარტო ის კმარა სირცხვილათ, რომ მთელი ქუთაისი ზემოხსენებულ კომისიას უფ. ხარაზოვის ამორჩეულად სთვლის.

ქუთაისელი

ქუთაისი, 7 ოქტომბერს.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დეკორების პატრონებს, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯერადი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დეკორებს უპრავა უეჭველად მოშავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

(3—1)

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხვინოვის სახლებში, ივანე **კურწოვის** **მაღაზიაში ისყიდება** ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, ოსანოვის ქარვასლაში.

(10—10)

თფილისის ქალაქის თავისაგან

თფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9-ს თფილისში მოვა **უმაღლესად** დამტკიცებული **სამხრეთ-აღმოსავლეთის** რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-თფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნით. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—3)

ბამოვიდა და ისყიდება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ბროშურა

„ჩვენი დევ-ბმირები“

(ძართველი მწერლების სურათები)

სტეფანე ჭრელაშვილისა

ფასი ერთი აბაზი

(4—2)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მან	კაპ.
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქარეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 9 ოქტომბ.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაკენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თ.რაქამისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო საშუალო ფუთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. ხახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, შურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტაფა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და შურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტაფა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; შურავლევი.—ვენერ. და კანის; რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, Октября 9 1879 г. Типографія Меликова. ბაბოტ. ს. ელიმიშვილი. რედ. ს. მესხი.